სამაგისტრო პროექტი: საწარმოო დანაკარგების აღრიცხვის პრობლემები

საქართველოში და მათი გადაჭრის გზები

მაკა საგინაშვილი
რუსუდან ქოქაშვილი
ლევან ცისკარავა

ჯგუფი #1

სამაგისტრო პროექტის ანგარიში წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

ბიზნესის სკოლაში

პროექტის ხელმძღვანელი: რევაზ გერაძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
თბილისი,2018

განაცხადი

როგორც წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მაკა საგინაშვილი

რუსუდან ქოქაშვილი

ლევან ცისკარავა

18.06.2017

აბსტრაქტი

წარმოება ერთ-ერთი ურთულესი პროცესია არსებულ ბიზნეს ინდუსტრიაში. კომპანიებს, რომლებიც აწარმოებენ რაიმე სახის პროდუქტს, თითქმის ყოველთვის აქვთ ბუნებრივი ან საწარმოო დანაკარგები, რომელიც გამოწვეულია მათგან დამოუკიდებლად.

დღესდღეობით საქართველოში დანაკარგების აღრიცხვის პრობლემა არაერთ კომპანიას აქვს და არაერთი მათგანი მიმართავს სახელმწიფოს ამ საკითხის დარეგულირების თხოვნით.

სამაგისტრო ნაშრომის კვლევის საგანს წარმოადგენს, ისეთი საკითხები, როგორიცაა: საწარმოო დანაკარგების აღრიცხვის წესი და გამოცდილება საქართველოში, კანონის მიერ აღნიშნული საკითხის რეგულირება, სახელმწიფოს მიერ კომპანიების მიმართ დაწესებული მოთხოვნები და ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც აწყდებიან მეწარმეები დანაკარგების აღრიცხვის პროცესში.

ამ მიზნით, ნაშრომში შესწავლილი და გაანალიზებულია საქართველოში საწარმოო დანაკარგების აღრიცხვის წესი, მიმდინარე რეგულაციები, პრობლემის აღქმა როგორც ბიზნეს სექტორის, ასევე სახელმწიფოს მხრიდან. შემოთავაზებულია რეკომენდაციები ჩატარებული კვლევის შედეგებისა და მსოფლიო გამოცდილების საფუძველზე.

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ მიუხედავად გარკვეული სახის პროდუქტზე დაწესებული ზღვრული ნორმებისა, კომპანიებს მაინც აქვთ პრობლემა საწარმოო დანაკარგების აღიცხვის დროს. ასევე, გამოვლინდა, რომ სახელმწიფოს, კერძოდ კი შემოსავლების სამსახურს ამ ეტაპზე არ გააჩნია საკმარისი რესურსი აღნიშნული პრობლემის ძირფესვიანად აღმოსაფხვრელად.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წარმოება, დანაკარგები, ბიზნესი, რეგულაცია, დანაკარგების ზღვრული ნორმა, სახელმწიფო.

Abstracts

The production is one of the most complicated processes in existing business industry. The companies manufacturing some kind of products almost every time have natural or production losses, which are emerged regardless of them.

Today many companies in Georgia face the problem of loss accounting and lots of them address the government requesting regulation of this issue.

The research subject of the thesis work includes such issues as: rule of production loss accounting and related experience in Georgia, regulation of mentioned issues by the law, the requirements established by the state regarding companies and the basic problems, which entrepreneurs face in the process of loss accounting.

To this end there is studied and analyzed the rule of production loss accounting in Georgia, current regulations, problem perception both by business sector and on the part of the state. There are offered recommendations on the basis of results of conducted researches and world experience.

It was revealed in the research process that despite marginal rates established for some kinds of products, companies still have a problem during production loss accounting. Also it was identified that the state, in particular the Revenue Service at this stage has no sufficient resources for total eradication of this problem.

Key words: production, losses, business, regulation, limitations of losses, state.